ბედიც უნდა გწყალობდეს

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი 5 ივლისი

"დინამო" (თბილისი) – "დინამო (კიევი) (0:0)

თბილისი: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე, ებრალიძე, გავაშელი, მჭედლიშვილი (გ. მაჩაიძე), ასათიანი მ. მაჩაიძე გუცაევი, წერეთელი (ლ. ნოდია)

კიევი: რუდაკოვი, ზუევი, მატვიენკო, ფომნკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, კოლოტოვი, ონიშჩენკო., ვერემეევი (ბურიაკი) ბლოხინი .

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

კიეველ დინამოელთა ტაქტიკური ჩანაფიქრი თბილისელებისათვის თავიდანვე ნათელი უნდა ყოფილიყო. სტუმრები თავს არ დაზოგავდნენ, რომ თავიანთს მინდორზე მოპოვებული ერთი გოლის უპირატესობა როგორმე შეენარჩუნებინათ. მართლაც, მათ მატჩის პირველივე წუთებიდან ჭარბი ძალებით გაამაგრეს დაცვითი ზღუდეები და უჩვეულოდ ნელი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს.

თბილისელებს უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ. ისინი მართლაც საბრძოლო სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული და თავიდანვე მთელი გუნდით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას კიეველთა მიერ არჩეულმა ამ ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა თამაშის სანახაობრივი მხარე გააუფერულა. სტუმრები, როგორც იტყვიან ხოლმე, არც თვითონ თამაშობდნენ და არც მეტოქეს აძლევდნენ ამის საშუალებას. მარცხენა ფრთის მოთამაშის წერილის საკითხი რომ მოაგვარეს (იგი განსაკუთრებით საიმედოდ პირველ ოც წუთში იყო ჩაკეტილი). სამი ფეხბურთელი გუცაევის იერიშების უვნებელსაყოფად გადაისროლეს, ხოლო კიდევ ამდენივე ცენტრში მყოფ მ. მაჩაიძეს. "მეთვალყურეობდა". თუ დაუმატებ, რომ სტუმრებმა თავიდანვე დროის გაყვანის ტაქტიკას მიმართეს, გასაგები გახდება, თუ რატომ გამოდგა ეს მატჩი სპორტულად არცთუ საინტერესო.

ასეთ რთულ ვითარებაში ჩვენს დინამოელებს მაინც შეეძლოთ მატჩის მოგება, სტუმრებს მართლაც ბედი სწყალობდათ, თორემ, თუ მეტი არა, ორი–სამი ბურთი მაინც უნდა გასულიყო მათს კარში. კიეველებს მასპინძლების კარის აღების სულ რაღაც ორი მომენტი ჰქონდათ და ორივეჯერ ძალიან ოსტატურად ითამაშა მეკარე გაგოშიძემ.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. განსხვავება ის იყო, რომ კიეველებმა აშკარად დაიწყეს დროის გაყვანა. გრძელი განივი გადაცემებით ბურთს წინ კი არ გადასცემდნენ, არამედ უკან მეკარემდე და ხშირად ტრიბუნებისკენაც კი. თამაშის 55–ე წუთზე ასათიანმა ბურთი ზუსტად გადასცა კიეველთა კარის წინ ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ მ. მაჩაიძეს, მაგრამ მისი დარტყმა უზუსტო აღმოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ გუცაევი ვერ შეიკავეს მცველებმა. ამ უკანასკნელმა საჯარიმო მოედნამდე მიაღწია და ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ბურთმა გარედან შეარხია სტუმრების კარის ბადე. ერთ მომენტში გ. მაჩაიძის უძლიერესი დარტყმა კარის ძელმა უკუაგდო, რამდენიმეჯერ სტუმრების კარისკენ მიმავალ ბურთს მცველები გადაეღობნენ. ასე იფუშებოდა თბილისის დინამოელთა ყოველი ცდა.

მჭედლიშვილის გ. მაჩაიძით შეცვლამ თბილისელთა იერიშებს სიმწვავე შემატა. ეს ფეხბურთელი დაცვითს ოპერაციებშიც მონაწილეობდა და მას ხშირად კიეველთა კარის სიახლოვესაც ნახავდით საიერიშოდ გამზადებულს. ბოლო 20 წუთის განმავლობაში თბილისის დინამოელები პირდაპირ დასახლდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანზე. ბევრი იყო ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ბურთი რაღაც მანქანებით სტუმრების კარში არ გადიოდა.

კიევის "დინამომ" მიზანს მიაღწია, მატჩი ფრედ – 0:0 დამთავრდა და გუნდი გავიდა თასის გათამაშების ფინალში.

თბილისის დინამოელებს ვერ დავადანაშაულებთ იმაში, რომ საბრძოლველად განწყობილი არ იყვნენ, პირიქით, გუნდმა ყველაფერი გააკეთა გამარჯვების მოპოვებისთვის და, თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სტუმრებს მართლაც ძალიან სწყალობდათ ბედი. ერთი, რაც ადვილად შეიმჩნეოდა, ის იყო, რომ მასპინძლებმა რატომაც მიიღეს კიეველთა მიერ შეთავაზებული ნელი ტემპი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სტუმრებს აძლევდა ხელს, სხვა მხივ თბილისელებმა ტაქტიკურად სწორად წარმართეს ბრძოლა და, თუ ამან ნაყოფი არ გამოიღო, ეს უმთავრესად საგოლე მომენტებში მათი თავდამსხმელების ზედმეტი დაყოვნებისა და კიეველთა დაცვის უნაკლო თამაშის შედეგი გახლდათ.

დასანანია, რომ თბილისის "დინამო" თასი გათამაშების მიღმა დარჩა. ამ გუნდს მთელი მატჩის მანძილზე ტერიტორიულ უპირატესობა ჰქონდა, იგი გამარჯვებასთანაც ახლო იყო, მაგრამ რას იზამ, სპორტის კანონი ასეთია: ვიღაცას უნდა გაუმართლოს, ვიღაცას ბედმა არ უნდა გაუღიმოს.

აღსანიშნავია ტ. ბახრამოვის არაკვალიფიციური მსაჯობა, განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა კიევის "დინამოს" საჯარიმო მოედანზე ბურთიანად გაჭრილი წერეთელი სტუმრებმა აკრძალული ილეთით მოცელეს, მსაჯმა კი კიეველთა კარში 11 მეტრიანი საჯარიმო არ დანიშნა. მსაჯის გამსინჯველმა კომისიამ ბახრამოვის მსაჯობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

”ლელო”, 7 ივლისი, 1974 წ.